ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №285773

ნომერი: AR168549

თარიღი : 24.07.2012

გაცემის თარიღი : 02.08.2012

გაცნობის თარიღი : 08.08.2012

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კვალი , N 9-11 , გამზირი რუსთაველი , N 29 , ქუჩა თაბუკაშვილი (ძნელაძე/პეტრიწი) N48, ქუჩა მ. მესხი N6 , ქუჩა რ. თაბუკაშვილი (ძნელაძე) N50-52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვალერი ზაბახიძე პ/ნ 60001003658
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 15 ბ. 35

ორგანიზაცია:
- დაბი გრუპ ჯორჯია კოდი: 204537411

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 168307
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 24.05.2012

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: Brian Minns

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 60001003658
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204537411
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: Dhabi Group Georgia DGG
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვალერი ზაბახიძე

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 38446.7
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 8513.4
- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 8900.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 6005.5
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 86.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 136033.3
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 88.4
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 1895.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : K1=6005.5/8900=0.7
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : K3=1157.8/8900=0.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 4978.9
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 17518.2
- .სპორტული მოედნის ფართობი (კვ.მ).: 341.4
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 148.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 18.5
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 178731.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 130.1
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : K2=28464.8/8900=3.2
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 4206.5
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 818.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 42698.3

ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), კვალის ქ. N9–11, რუსთაველის გამზ. N29, თაბუკაშვილის (ძნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ.N6, რ. თაბუკაშილის (ძმელაძე) ქ. N50–52, შ.პ.ს. "დაბი გრუპ ჯორჯია"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.
საფუძველი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (სარეგისტრაციო ნომერი N882012150236, 10.04.2012; საკადასტრო კოდი N01.15.04.012.015);
– საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს ოქმი N30, 24,07.2012წ.;

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქვეპუნქტის და მე-6 ნაწილის, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეთანხმდეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–მთაწმინდა), კვალის ქ. N9–11, რუსთაველის გამზ. N29, თაბუკაშვილის (მნელაძე/პეტრიწი) ქ. N48, მ. მესხის ქ.N6, რ. თაბუკაშილის (მმელაძე) ქ. N50–52, შ.პ.ს. "დაბი გრუპ ჯორჯია"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთებზე, მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა;
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 22 აგვისტოდან – 2016 წლის 22 მაისის ჩათვლით.
4. განემარტოს დამკვეთს, რომ ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი შემდეგი დოკუმენტაცია:
4.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა;
4.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N57 დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად;
4.3 მშენებლობის ორგანიზების პროექტი ამ დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად;
4.4 კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა–ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის, მათ შორის ფუძე–საძირკვლის, დეტალური პროექტისაგან;
4.5. სავალდებულო საექსპერტო შეფასებების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის N57 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად;
5. დაევალოს დამკვეთს 4 (ოთხი) თვის ვადაში წარმოადგინოს არსებული შენობის ანაზომები; ორივე შენობის სახურავის გეგმა; ახალი საპროექტო შენობის აბსოლუტური და ნულოვანი ნიშნულები;
6. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი საინჟინრო–ტექნიკური დასკვნის თანახმად არსებული შენობის ფიზიკური მდგომარეობა ხასიათდება როგორც არადამაკმაყოფილებელი, აუცილებელია შესრულდეს შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
7. დაევალოს დამკვეთს 4 (ოთხი) თვის ვადაში წარმოადგინოს არსებული შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო არიტექტურული პროექტი;
8. არსებული შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებამდე შესაძლებელია ახალი შენობის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება. 0.00 ნიშნულის ზემოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოება განხორციელდეს ძველი შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშაოების პარალელურად.
9. დაევალოს დამკვეთს 4 (ოთხი) თვის ვადაში წარმოადგინოს სატრანსპორტო უზრუნველყოფის სქემა;
10. დაევალოს დამკვეთს 4 (ოთხი) თვის ვადაში წარმოადგინოს საინფორმაციო დაფის–ბანერის ფოტოები;
11 საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში დაცულ იქნას სამშენებლო ნორმები; გადატანის შემთხვევაში, წარმოდგენილ იქნას ცნობა შესაბამისი სამსახურიდან;
12. ტერიტორიაზე არსებული ხე–ნარგავების მოჭრის შემთხვევაში აღნიშნული შეთანხმდეს შესაბამის სამსახურებთან.
13. ამ ბრძანების მე–5 – მე–12 პუნქტებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში სამსახური იტოვებს უფლებას წინამდებარე ბრძანების ზალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მშენებლობის ეტაპები:
– მოსამზადებელი სამუშაოები და არსებული შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშოები (რეკონსტრუქციის ფაზა I-II);
– არსებული შენობის სარეაბილიტაციო–სარეკონსტრუქციო სამუშოები (რეკონსტრუქციის ფაზა III)
– მიწის სამუშაოები, ხიმინჯების და ფუნდამენტის მოწყობა;
– ახალი კორპუსის კარკასის მოწყობა;
– მოსაპირკეთებელი სამუშოები;
– ტერიტორიის კეთილმოწყობა და სამუშოების დასრულება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.